ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 104

ქალაქი ქუთაისი 19 სექტემბერი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედნისა და თბილისის ქუჩის გადაკვეთაზე), სახელმწიფოსთვის, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემისათვის, გასხვისების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ და „დ.ზ“ ქვეპუნქტების, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, 121-ე მუხლის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 21.08.2018 წლის №6/46993 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედნისა და თბილისის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე, ძირითადი (განუსხვისებელი) უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №03.03.21.633; ფართი – 184 კვ.მ.), სახელმწიფოსთვის, უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემისათვის, გასხვისების შესახებ.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია